ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

4 თებერვალი 1989

ნახ. ჯ. ლოლუასი

— აი, ბავშვებო, ეს მშრომელი გლეხია, ეს კი ირემია!..

ქანსყლო ჩანოკვიბანი



„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ილია

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“
შავი ქვითა და თუჯით?
უჭირს, ბატონო, სამყაროს,
ჩვენს სამშობლოსაც უჭირს.

თანდათან ქრება სითბო და
სიცივე დგება სულში,
როგორც სულს კაცის სხეულში,
ნუნუას უჭირს ჭურში.

ქრება ნდობა და იმედი,
აღარ ვმასპინძლობთ სტუმარს,
ძლივს ერთმანეთთან მივედით,
მაგრამ დავშორდით უმალ.

ყველამ თავისი შეკონა,
ყველამ თავისი გაკრა,
ვიცნობდი, კაცი მეგონა,
მაგრამ ნისლივით გაქრა.

რატომ გაქრაო კარაქი?
(კარაქი უჭირს ქალაქს),
მიტომ, რომ პურზე კი არა,
თავზე იცხებენ კარაქს.

ქვეყნად რამდენი მტერია,
ვისაც ნამუსი არ აქვს,
კარაქი რა სათქმელია,
უჭირს მტკვარსა და არაგვს.

არა, ღმერთი არ შეგვარჩენს,
ვერ გაძლა კაცის კუჭი,
დედამიწაზე ჩვენს გამჩენს —
დედაბუნებას უჭირს.

უჭირს დიდსა და პატარას,
ცოცხლობს იმედით ჭორის.
პატარა ძაფი გამწყდარა,
გაბმული კაცებს შორის.

კაცი კაცის გულს სცილდება,
ძმამ ძმა გასწირა ღვიძლი,
ჩვენ აღარც ხორცი გვჭირდება, —
ერთმანეთის ხორცს ვძიძგნით.

გულებს — გულდაგულ
ჩაკეტილთ —
აწი ვინ ახდის სარქველს?
დასავლეთ-აღმოსავლეთით,
ჩრდილოეთით და სამხრეთით —
ძალიან უჭირს საქმეს.

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“
შავი ქვითა და თუჯით?
უჭირს, ბატონო, სამყაროს,
საქართველოსაც უჭირს!

და თუ კვლავ წერტილ-მძიმეთი
მზისგან გამოვყოფ წვიმებს,
კვლავ მრჩება ერთი იმედი —
ქართველი ჰქვია იმედს!

13. VII. 1988.

მდივანმა ერთი თქვა, გლეხმა — ათასი...

— ძია კოტეს გაუმარჯოს!
ხომ კარგად ხარ?
ხომ არ გვერჩი?
ხანდახან ხომ არ გვაგინებ?
ამ ახოებს არ გადახნავ?
ამ ყანებს ვის ამარგვლინებ?



— არა, შვილო,
მე არავის არ ვაგინებ,
აგი მიწაც ჩემი იყო,
გავასხვისე!..
აქ ტაძარი იდგა, მარა
დავანგრიეთ, —
სოფლის კლუბი ავაშენეთ
ამ ადგილზე!

არც გაქებთ და არც გაგინებთ,
ამნაირი უნახიათ
დრო მრავალი,
ეს რაცაა,
სად წაგვივა,
მთავარია წარსული და მომავალი!..

მე რა დამრჩა,
თქვენ იცხოვრეთ აწი დიდხანს
(შენ უშველე ჩემს ქვეყანას,
გამგებელო!)
ახლა საცხა გევიგონე,
ვინცხამ მითხრა:
ამ ადგილზე ისევ ტაძარს აგებენო!..

5. VI. 1988.

ქუთაისური ფოლკლორი

შენ გარეთ მიხმობ,
კარს მილებ ფართოდ,
სიმღერასა და
ცეკვას მაძულებ,
კი, როგორ არა,
ამ სუფრას დავთმობ,
მანდ გამოვალ და
შენ გიბაზუნებ!

29. VII. 1988.

გზა

სიცოცხლეს ამერ-იმერის
თუკი სიცოცხლე ეთქმის,
დიდ რჯულში მცნება პირველი
სიყვარულია ღმერთის!

შენ რომ ხმა გაგაკმენდინო,
როგორ წარდგები ღმერთთან?
მე ჩემს მინდორს ვხნავ, კრეტინო,
მე რა საქმე მაქვს შენთან?

მოლა ნასრედინი

ვინაიდან ადრე თქვა
ნასრედინმა მოლამ,
ამიტომაც ამ სიბრძნეს
ვერ ვუწოდებთ ახალს: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი-ბალანიკული ლირიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლი იყოს, ფუტკარი
ბალდადიდან მოვა,
მთავარია საჯდომი —
კაცს ყოველთვის ნახავ!

ერთ ჩემს ჩუმ ოპონენტს

გამოგიტყდები,
როგორც მოკეთეს
(ხვალისთვის უფრო
ფხიზლად რომ იყო),
ჩემზე დაცინვა
კი არ მოქმედებს,
ქება მოქმედებს,
გაიგე, ბრიყვო!

საკუთარი აზრი

სახლი ბარში,
სახლი მთაში, —
ესე იგი, ორგან,
კი, ბატონო,
საკუთარი,
საკუთარი „ვოლგა“.
საკუთარი
ლურჯი პლაჟი,
პლაჟზე —
დიდი ქოლგა,
კაცის ხორცშიც
თვით ეშმაკი
საკუთარი ბორგავს.

სახლთან
საკუთარი დახლი,
დახლთან —
დიდი ჩარხი,

ახლა
მითქმა-მოთქმა დადის —
არა მხოლოდ
ჩარხის,
არის შანსი,
შეიძლება.
თურმე ყიდვა ქარხნის.

საკუთარი
სასაფლაო,
საკუთარი ახო,
ახოს ახლო —
შვილიშვილის
შვილის სამოსახლო,
ცოლიც, შვილიც
საკუთრებად
გვსურს, რომ
წარმოვსახოთ.

შეიძლება
თურმე ყიდვა
შამპანურის ხაზის,
ცხვარსაც,
ცხენსაც
საკუთარი
თეთრი დამლა აზის.

შორით ეშმა
იფურთხება
და მიჰყვება
გამზირს, —
„არ გამოთქვა
არაფერზე
საკუთარი აზრი!..“

მაინც ვიტყვი:
ეს სამყარო
გაყოფილა ორად,
ერთი —
ღვთისგან დალოცვილი,
ერთი —
ღმერთის წყრომა.
ერთს აწუხებს
შიმშილობა,
მეორეს კი — ძლომა.

მე არც ერთი
არ მაწუხებს
ზემოთ ჩამოთვლილი,
მოგახმაროთ
ყველაფერი,
დახურული თივით!..

მოგახმაროთ
ყველაფერი,
დახურული ჩალით,
მე ვამაყობ
ჩემი ქვეყნის
ბულბულების ჭალით.

ყველაფერი იცვითება
ამ მთვარით და
ამ მზით,
საკუთარი
ბოსტანი და
საკუთარი ვაზი...

თუმც ყოველგვარ
საკუთრებას
კაცის
დამლა აზის,
მაინც, მაინც
მთავარია
საკუთარი აზრი!

ილუსტრაციები ჯ. ლეონასი

ინტერვიუ „იჩთან“

არის საკითხი, რომელიც მთელი არსებით შეგიპყრობს. როგორც იტყვიან, ძვალ-რბილში გაგიჯდება, ტვინიდან არ გაგდის და ზოგჯერ ძილშიც ჩაგყვება, სიზმარშიც არ გასვენებს!.. ერთადერთი, რითაც შეგიძლია თავი დაიმშვიდო, ისაა, რომ შენს მდგომარეობაში სხვებიც არიან!..

მოულოდნელად გამომეცხადა ვიღაც, რომელიც გვარით, სახელითა და მამის სახელით გამეცნო, მაგრამ ვერაფერი გავიგე, უფრო სწორად, გვარი და სახელი ვერ გავარკვიე. მამის სახელიდან კი მხოლოდ „**ი ჩ ი**“ გავიგონე. პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ „**ი ჩ მ ა**“ პირდაპირ მომახალა:

— მე თქვენგან ინტერვიუ უნდა ავიღო!

ალბათ გაკვირვება შემამჩნია და დამამშვიდა:

— არა, არა, ისეთი არაფერი!.. მინდოდა გაგსაუბრებოდით საქართველოს ეთნოგრაფიული ჯგუფების შესახებ!..

გაკვირვებულმა ძლივს ამოვილულლუღე:

— კი, მაგრამ მე ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ!..

იგი შეცბა, წარბები შეკრა, მერე პროტესტის ნიშნად ხელი ზეაღმართა და ამოალაგა:

— მაგას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთავარი ის კი არაა, ვინ ლაპარაკობს, არამედ — რას ლაპარაკობს!

ასეთ დაწყებას არ ველოდი და დავიბენი. ამით მან ისარგებლა.

— მე მინდა ზოგი რამ დავაზუსტო საქართველოს ეთნოგრაფიული რეგიონების საკითხში. — დაიწყო „იჩმა“ აღფრთოვანებით და მერე ხმის დაწევით განაგრძო. — **კერძოდ, მაინტერესებს იმ დეტალების გამომზეურება, რაც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ან მთლად უცნობია...**

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ვერაფერი გავიგე, არაფრის თქმას არ ვაპირებდი. არც „იჩი“ დამელოდა. მან ცოტა შეისვენა და უცებ კითხვები მომაყარა.

— აი, მაგალითად, საიდან მოვიდნენ ხევსურები, როგორია მათი სალაპარაკო ენა, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა?..

„იჩის“ უვერტიურა არ მომეწონა. დაახლოებით წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ოპერა. პირდაპირ თუ ვიტყვით, მის კაიკაცობაში ეჭვი შემეპარა, მაგრამ თავი შევიკავე.

— ხევსურეთი ხომ ცალკე რეგიონია? — მოულოდნელად იკითხა „იჩმა“ და თვალი თვალში გამიყარა.

— დიახ, მაგრამ...

— საკმარისია! — ხელის აწევით წამოიძახა მან. — **დიახ, კარგია!.. ახლა მე მაინტერესებს ენის საკითხი! რა ენაზე ლაპარაკობენ ხევსურები? მათი მშობლიური ენა?**

ამ კითხვის შემდეგ ჩემი ეჭვი „იჩის“ მიმართ გამართლდა: დიახ, ელვისებურად, მაგრამ მაინც მოვასწარი მისი პიროვნების გაანალიზება. ლოგიკის ძალით მის წინაალმდეგ უნდა გამელაშქრა, მაგრამ ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ ძალიან დამაინტერესა ბოლომდე გამეგო „იჩის“ ბნელი აზრები... ცოტა ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე არამცთუ წინაალმდეგობა გამეწია, არამედ დავხმარებოდი...

„იჩს“ პაუზა არ მოეწონა და კითხვა გამიმეორა.

— აქვთ თუ არა ხევსურებს მშობლიური ენა?

— რა თქმა უნდა! — უცებ დავეთანხმე. — ხევსურებს მშობლიური ენაც აქვთ და მშობლებიც ჰყავთ.

„იჩი“ სიხარულისაგან აცახცახდა. სული რომ მოითქვა, რაღაც ჩაიწერა. მერე სულელურად გაიღიმა და ბლოკნოტიდან თავაუღებლად თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნამდვილად საინტერესოა... იმერეთი და ხევსურეთი... ისე ულერს, როგორც საფრანგეთი და საბერძნეთი...

გაცინებისგან თავი გაჭირვებით შევიკავე. სიცილის მაგივრად ხველება ამიტყდა. როცა დავწყნარდი, „იჩის“ გასახარებლად დავიწყე:

— ხევსურეთი გადაჭიმულია კალთებზე და ესაზღვრება კახეთს...

— რომელ კახეთს? — შემაჩერა „იჩმა“.

გარე და შიდა კახეთი სცოდნია, — გავიფიქრე და მოკლედ ვუპასუხე — ორივეს!

„იჩმა“ შუბლი მოისრისა და ტყვიასავით მესროლა:

— კახეთი ხომ ორია, დედაქალაქი რატომაა ერთი?

მიუხედავად იმისა, რომ „იჩისაგან“ ყველაფერს მოველოდი, კითხვა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა... მე ახლა პასუხზე არ ვფიქრობდი. იმის შიში მქონდა, ვაითუ ხევსურეთის დედაქალაქი მკითხოს და რა ვუთხრა-მეთქი.

„იჩმა“ ბლოკნოტში ჩაიხედა და თავი რომ ასწია, გაბრწყინებული სახით მკითხა:

— აი, ამ მხრივ სვანეთში სხვა მდგომარეობაა: იქ, თუ არ ვცდები, ორი დედაქალაქია!..

— დიახ, დიახ, — წამსვე დავეთანხმე, — ზემოსი მესტია, ქვემოსი კი — ლენტეხი.

„იჩი“ გაიბადრა. უცებ ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა. მერე წარბები შეკრა და მკითხა:

— სვანები ხომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ?

— მშობლიურ ენაზე, — მოკლედ ვუპასუხე, მაგრამ შევატყვე, რომ ჩემი სტუმარი თითქოს უკმაყოფილო დარჩა. შუბლი მოისრისა, ეტყობოდა, რაღაცას იგონებდა. ბლოკნოტი გადაფურცლა, ერთ გვერდს დააშტერდა და თავაუღებლად იკითხა:

— ქართველები და სვანები ერთმანეთს რა ენაზე ელაპარაკებიან?

— ქართულად!.. დიახ, ქართულად! — დინჯად მივუგე მე.

„იჩს“ სახე მოეღრუბლა, ძნელი არ იყო იმის შეტყობა, რომ პასუხი არ მოეწონა, იგი სხვა პასუხს მოელოდა. ბლოკნოტი ხელში ნერვულად შეათამაშა და მცირე პაუზის შემდეგ თითქოს ნიშნის მოგებით მკითხა:

— აი, მეგრელებს ხომ აქვთ მშობლიური ენა?

— ვინ თქვა, რომ არ აქვთო? — კითხვითვე ვუპასუხე.

„იჩს“ ფერი მოუვიდა და გახარებული ისევ იმ ბნელაზრებიან ბლოკნოტში ჩაყო ცხვირი... ბურდღუნებდა თავისთვის, მაგრამ ზოგჯერ გარკვევით ამოაფრქვევდა ცალკეულ სიტყვებს. რამდენჯერმე გავიგონე: ლაზები... კოლხები... მეგრელები... რაჭველები... ქართლელები... ფრანგები... მესხები... გურულები... ჯავახები... აჭარლები... კათოლიკები... ზედა, შუა, ქვემო ქართლი... ზემო იმერეთი!..

„იჩი“ უცებ გაქვავდა. ეტყობა, რაღაც საკბილო აღმოაჩინა, იგი წელში გასწორდა, ჩაახველა და მოემზადა ახალი ვერსიების გადმოსაფრქვევად. მეც მზად ვიყავი მოსასმენად, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან სწორედ ამ დროს შვილიშვილმა გამაღვიძა... გავბრაზდი!..

— ბაბუ, ძილში ვის ელაპარაკებოდი? — ჩამესმა ბავშვის ხმა.

სიზმარი გამახსენდა და გულზე შემომეყარა... დავიბოლმე...

გიგლა გახტაძე

უსიტყვოდ

Дружеский шарж
В. МОЧАЛОВА.

შეცდომის უფლების გარეშე

ღია წერილი კონდრატე უბილავას

ჟურნალ „კროკოდილისათვის“ პირველად ვწერ. მართალი გითხრათ, ვღელავ, თუმცა რამდენიმე წიგნის ავტორი ვარ, მაგრამ ეს წიგნები ომზე იყო. ისე „კროკოდილიც“ იბრძვის, თანაც როგორ მონინააღმდეგეებთან — ბიუროკრატებთან, წუნისმკეთებლებთან, მლიქვნელებთან — ყველასთან, ვინც წინ აღუდგა გარდაქმნას, მათთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომია გაჩაღებული. და მასში მონაწილეობს **ჩემი ფრონტელი მეგობარი კონდრატე უბილავა,** რასაკვირველია, „კროკოდილის“ მხარეზე.

ვიცი, მას არ უყვარს, როცა აქებენ, ჩვეულებრივ ქილიკობს ხოლმე დითირამბების მოყვარულებზე და თავის თავზეც. მაგრამ დღეს განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. **ძვირფასო კონდრატე,** დღეს შენ 70-ს მიუკაკუნე. ეს ჭაბუკობის ხანაა, თუ ბაბუაშენის — **ძოკია უბილავას** — ასაკს შევადარებთ, მან ხომ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 132 წელი იცოცხლა!

მახსოვს შენი მონაყოლი ბაბუაზე: აფხაზეთში, კერძოდ გალში ერთი ძველი სახლი გედგათ. სასადილო მაგიდასთან, ჩვეულებრივ, თხუთმეტი კაცი იკრიბებოდა. მათ შორის „კროკოდილის“ მომავალი ფელეტონისტიც იყო. ბაბუას ელოდებოდნენ. როცა ის დაჯდებოდა, მაშინღა მიუსხდებოდნენ სუფრას. ამის შემდეგ იწყებოდა ტრაპეზი. როგორ გვაკლია დღეს ასეთი პატივისცემა მოხუცი და ბრძენი ადამიანების მიმართ!..

ოჯახური იჯარაც, რაზეც დღეს ამდენს ვლაპარაკობთ და ვწერთ და რომელიც ასე ძნელად მკვიდრდება, შენს სახლში, **კონდრატე,** თურმე დიდი ხანია არსებობდა. მუშაობდა ყველა — ბაბუა, ბებია, მამა და შვილები... აძოვებდნენ ძროხებს, ცხენებს, თხებს, ცხვრებს, მოჰყავდათ ყურძენი, ჩაი, მანდარინი და სხვადასხვა ხილი. შრომობდნენ დილიდან გვიან საღამომდე. აი, **კონდრატე,** როდის გაიგე შენ, თუ რა ჯაფით მოიპოვება პური არსობისა, ამასთან იმათი გაცნობაც ისწავლე, ვინც ცდილობს სხვისი ნაშრომის მითვისებას. ისინი, სხვისი ნაშრომის მიმთვისებლები, მუდამ საკმარისად იყვნენ. შენ მათი გამოცნობის უტყუარი ალღო გაქვს — ათიანში ურტყამ!..

მე ვიცი, სადაც დაიწყო ყოველივე — ომში. ვიცი, რადგან შენთან, **ლეიტენანტ უბილავასთან,** მხიარულ და მამაც მეკავშირესთან ერთად ვიბრძოდი. შენი ფრონტული გზა კრასნოდარიდან ბერლინს მისწვდა: მიდიოდი ფეხით, მკლავურით კვეთდი მდინარეებს, მიფრინავდი სადესანტო თვითმფრინავებით და ყოველთვის თან გახლდა იუმორი.

ვისაც უბრძოლია, ის გაიგებს, როგორ ფასობს ფრონტზე მხიარული ადამიანი. ასეთი კაცის გვერდით ბრძოლა გაცილებით იოლია. ამაზეა შენი წიგნიც — **„ფრონტული ღიმილი“, რომელიც „კროკოდილის“ ბიბლიოთეკამ გამოსცა.** ასეა, ხომ? მის ყდაზე დახატულია ორდენებით მკერდდამშვენებული მხიარული ჯარისკაცი. იგი ვასილ ტიორკინის ღვიძლი ძმაა. ჩინებული ნათესაობაა!

კონდრატე, შენ განა მარტო გვამხიარულებდი! — შენ აკეთებდი მთავარს — იბრძოდი!.. და ამას ძალიან კარგად ართმევდი თავს. საკმარისია ჩამოვთვალოთ შენი ჯილდოები — თოთხმეტი ორდენი და მედალი!.. ორჯერ იყავი დაჭრილი!..

მე ბევრი შემიძლია მოგითხროთ იუბილარის საბრძოლო მამაცობის შესახებ **(რაზედაც დაწერილი მაქვს წიგნებში — „მებაირაღეები რაიხსტაგს უტევენ“ და „რაიხსტაგზე“, სადაც არის თავი — „კორპუსის რადისტი კონდრატე უბილავა“).** მაგრამ მთავარი ისაა, გახსოვს შენმა რადიოოპერეტულმა როგორ უზრუნველყო ისტორიული ინფორმაციის გადაცემა 79-ე მსროლელი კორპუსის შტაბიდან? ინფორმაციამ მაშინვე მიაღწია თვით მარშალ ჟუკოვამდე! გავიდა კიდევ ცოტა ხანი და მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ რაიხსტაგზე წითელი დროშა აფრიალდა!..

შენ დღესაც მოწინავე ხაზზე ხარ, **კონდრატე:** განგაშს სტეხ ქართული ჩაის ცუდ ხარისხზე, ხორცის დანაკარგების დაუშვებლობაზე, წუხხარ შავი ზღვის სისუფთავეზე, იბრძვი კოლხეთის უნარიანად ათვისებისათვის!.. შენი ფელეტონების მიღმა რამდენი გზაა, რამდენი შეხვედრა და... რამდენი ჭაღარა! ამის შესახებ მხოლოდ შენ იცი! მაგრამ **„კროკოდილის“** რედაქციაში მითხრეს, რომ შენი ფელეტონების უარმყოფელ წერილებს საერთოდ არ ღებულობენ! ჩემს თანამებრძოლს ყველა ფაქტი დაზუსტებული და შემოწმებული აქვს. ეტყობა, რომ სამხედრო მეკავშირეა, რომელსაც შეცდომა არ ეპატიება! იცი, კიდევ რა მითხრეს? — შენს ყოველ ფელეტონს სათანადო რეაგირება მოსდევს! — ეს, მგონი, ყველაზე მთავარია!

გადავშლი თუ არა **„კროკოდილის“** ახალ ნომერს (მე ძველი ხელმომწერი ვარ), მაინტერესებს, არის თუ არა ყოფილი ლეიტენანტ **კონდრატე უბილავას** გვარი! თუ არის (სამწუხაროდ, ეს არც ისე ხშირია), მის წაკითხვას პირდაპირ შენი ფელეტონით ვიწყებ!.. ჟურნალის სხვა ავტორები ნუ მიწყენენ!.. და მოლოდინიც არასოდეს მიცრუდება!

გული არ გაიტეხო, ჩემო თანამებრძოლო, და მუდამ გახსოვდეს, ტყვიების ქარცეცხლში როგორ ამყარებდი კავშირს! ეს ძალიან გამოგადგა შენს მშვიდობიან, მაგრამ ესოდენ სახიფათო პროფესიაში!

გეხვევი!
გენერალ-პოლკოვნიკი ვ. შატილოვი,
საბჭოთა კავშირის გმირი.
(ჟურნალი „კროკოდილი“, № 34, 1988 წ.)

70 წლის კონდრატე უბილავას

ღვაწლმოსილ ბატონ კონდრატეს — კროკოდილელს და
ნიანგელს —
ორი თვის დაგვიანებით „ნიანგიც“ პატივს მიაგებს!
„კროკოდილს“ კორესპონდენტად ჰყავს, რომ იცოდეთ წინასწარ! —
ამიერკავკასია აქვს საკბილო კოორდინატად!
ახალგაზრდობა გოლგოთურ შრომა-ბრძოლაში გალიეა!..
გალშია დაბადებული და გალი უყვარს ძალიან!
იქ მშვენიერი სახლი აქვს და ციტრუსების ბაღი აქვს,
ის სახლიცა და ის ბაღიც ყველასთვის არის კარღია!
ხიშტით გმირულად იბრძოლა!.. გმირულად იბრძვის კალმითაც!..
ფსევდონიმებსაც იყენებს (მათი გამხელა არ მინდა!).
ორჯერ დაიჭრა!., თოთხმეტი უბრწყინავს ორდენ-მედალი!
სამოცდაათი წლისაა და ჭაბუკივით მხნედ არის!
„ფრონტული ღიმილისათვის“, — მკითხველს რომ ასე იზიდავს, —
ვ. შატილოვმა უწოდა მას ტიორკინის ღვიძლი ძმა!
კონდრატე ტკბილი კაცია, ვით საკონდიტრო ნაწარმი,
მაგრამ ხანდახან პილპილზე ცხარეა მისი ნაწერი!
ფელეტონით თუ პამფლეტით ხშირად ამშვენებს „კროკოდილს“,
და „კროკოდილიც“ ჰონორარს უხდის ბაჯაღლო ოქროთი!
ის ნაღდი მეკავშირეა დღეს „კროკოდილთან“ „ნიანგის“
და არასოდეს არ უშვებს შეცდომას, ანუ იაღლიშს!
მართალს ამბობს და მართალს წერს მუდამ მართალი
კონდრატე,
ამიტომ, ვისაც ის ურტყამს, მათგან არ იღებს კონტრდარტყმებს!
ჯერ „კროკოდილმა“ მოსკოვში დაასაჩუქრა უხვად და
მერე საუბილავო საღამო გადაუხადა!
რამდენი წელიც იცოცხლა ბაბუამისმა ძოკიამ,
ორი იმდენი იცოცხლოს კონდრატემ (ასე ჯობია!).
სასაცილოზე გვაცინოს და სატირალზე გვატიროს!
(კარგს იზამს, შატილობაზე თუკი გვასტუმრებს შატილოვს!).

„ნიანგის“ დავალებით — ზაურ ბოლქვაძე

ვაკანტური კბილი

გიორგი გოლეთიანი

ნოველა

დილის ცხრა საათი იქნებოდა. ქარხნის კაბინეტის გაყვიფოფლების გამგეს ირინდი ფოცხვერიან დირექტორის კაბინეტის დერმატინით მოფენილი კარი ფრთხილად შეაღო, ფეხაკრეფილი მოუახლოდა სანერგ მაგიდას, კოტრესილი შეიშმო და ნაღველანაღდ ნარმოთქვა:

— აი, ვინ გამოდგება, სეფასტერ, ვაკანტურ ადგილზე დასანიშნავად! — და ხუთი პირადი საქმე მაგიდაზე დაფინა.

დირექტორმა ირინდის მწყრალად ახედა.

— მერე სადა გიქვს ვაკანტური ადგილი?!

— როგორ?! არ იცი?! ამ დილით, შვიდ საათზე, უეცრად სული დალია პარმენ ტორტაძემ. ალარა გვყავს ეს ნიჭიერი, ნინდახედული და ინდფილ მომეცი შუბაკი, — თქვა ირინდმ და ცრემლების ახალი ნაკადი სასრნაფოდ მოინმინდა.

— რას ამბობ, კაცო?! — ალმოხდა მიხეილ შეშელიძე.

— გუშინ ეს მანაყრილი, ბეჭეტგანიერი ეიგაკეი ფილდან სალამინდე საამქროში დასტრიალებდა, ახლა კი... ოჯ, სადაა ღმერთი, თორმე...

— ეს რა მითხარი, ირინდი?! — საბარალდ შეშყეარა მიხეილმა და საათს დახედა.

— ჯერ ცხედარი არ გიკეთებეთლა, მინისათვის არ მოგვიბარებია! ღმერთი ამა ენამთ! რას იტყვის ხალხი?! — გულისწყრომით ნარმოთქვა გაჯავრებულმა და სახემოღუშულმა მიხეილმა.

— თუ ფრუზე არ გაგაფორმეთ ვინმე, ბატონო მიხეილ, ტალეფონების ზარები ცუტუს გამოგვიქმედეგენ, პროფტაკორები ყელში გაწყდებიან!... დაფიმოთ ვინმე და ორივე კურფილელ დაეიდერთ. ჩვენიანები ალარ იხეტიალებენ ზემო ინსტანციებში, ამით ფეხსაცმელსა და ფროს დაზოგავენ და, რაც მთავარია, ისინიც, ზევით, მაგლილელი დარჩებიან: აიცდენენ ბაეზარ მოხოფილებს!



ნახ. დ. ჯარაფიშვილისა

— სახლიდან მოიტანა ტრიბუნა და ახლა შენ მაგახ ჩამოიყვანე?!

— რა მუშაკი დავკარგეთ! ოქრო, ბაგალელო ოქრო! საცოდავის მეცოტოფლეზე ეუფრო ტალახი რომ გადადგესხა, კრინტსაც არ დაძრავდა. სად მოძებნი ახლა ასეთს?! — თქვა მიხეილმა და პირადი საქმეები გადაშალა.

ირინდმ ნაყლი დაისხა, ირინდე ყლუპი მოსვა და როცა მიხეილმა ნაერისფერი საქალალდე აიღო ხელში, აღელდა: — ეს ვაგბატონი დილის რვის ნახევარზე დამეცა, ნაბოძაგელი ლოგინიდან და ხეეწნა-მუდარით, ხოგდერ კი მუქარით ამიელო: — ეს ვაკანტური ადგილი მე მაუთვენინო. საქმე, მუმაობა არ ეპიტნავებათ, თბილი და საპატიო ადგილი კი

— ბოლო ცალი ბოთლი ეგ ბიჭი ეყოფა! — ბოლ-ბოლ ეს ბიჭი ეყოფა! — ეს ბიჭი ეყოფა! — ეს ბიჭი ეყოფა! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტექტორს

წმენდენ ყველაფერს,
მთა და მინდორს
აკრიალებენ!..
თრთი სავარძელში,
ვერ იოკებ გულს,
მაჯისცემას
და გეჩვენება
ტელეფონის აწკრიალება
მიგნებულ ნაღმის
მიმნიშნებელ ზარის
მიცემად!..

ის რა დრო გქონდა,
თავი მაინც როგორ აიშვი,
ყორნისფერია,
რაც აიგე და რაც გაცვია!
ქართულ სიტყვებში
ათასგვარში,
ათასნაირში
მორიელივით
მოჩანს შენი
„ჩემი კაცია!“

„შენმა კაცებმა“
ბევრს საგზური
ცოდნის წაართვეს,
ინსტიტუტებში
პოვეს ბინა მჩატე
თავებმა,
მათთვის წიგნები
ჰგავდა მარტივ
სილის საათებს,
ფიქრობდნენ:
გაჰყავთ დრო სტრიქონთა
ჩამოთავებას!..

გაშლილ სუფრაზე
სავსე ყანწებს
ცლიდნენ ზედიზედ,
ათი ათასებს
ირგვლივ ყრიდნენ
მარჯვენ-მარცხენით!..
ხელი ხელს ბანდა,
ორივე — პირს,
ორივ ღრეობდა
და ფულს
ხელის ჭუჭყს ეძახოდნენ
„შენი კაცები“!

ვერ დაგიფარავს
ეგ ნილაბი სიდარბაისლის,
როგორ ამაოდ
ეფარები ყალბ
მოკრძალებას,
მიგნებულ ნაღმის
მიმნიშნებელ
ზარად გაისმის
შენს კაბინეტში
ტელეფონის აწკრიალება!..

ალექსი ხუციშვილი
(საჩხერის რაიონი)

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. ლ. კუჭუხიძისა

უსიტყვოდ

ნოსტალგია ლიბლოიდი

ნოველა

უფროსთან სელექტორით საუბარს და ბოლოს საიდუმლო კოდით ნათქვამ ორიოდე სიტყვას საქმეც მოჰყვა: კადრების განყოფილების ოთახის კარში საქმოსანი სელექციონერის მიერ საგანგებოდ ბაზის დირექტორად გამოყვანილი, კარგა გემოზე დამრგვალებული ტიპი გაიჭედა.

— ტრიფონიჩმა გაახლათ ჩემი თავი, ბატონო მიშა! შესახედავად, მგონი, არა მიშავს, მაგრამ სახელი მომიძველდა!.. ანაპოდისტე მქვია. ახლა ქვეყანა ახლებურად აზროვნებს, მე კი ამ ანტიპოდურ სახელს დავათრევ!.. მეშინია ანტიპოდებში არ აგერიოთ!..

— ანტიპოდებს რას უწუნებ, შე კაცო?! — წარბები უკადრისად აძგიბა კადრების განყოფილების უფროსმა.

— არაფერსაც არ ვუწუნებ! — გახალისდა ანაპოდისტე, — ცხოვრების მოდებს და ანტიპოდებს გვერდიგვერდ ვაყენებ და ერთმანეთისაგან ვერ გამირჩევია!..

— აგაშენა ღმერთმა! გარდაქმნის დონეზე აზროვნებ! გასაუბრებაში ხუთიანი გეკუთვნის! ახლა გამოცდაზე გადავიდეთ! ალბათ გეცოდინება, დიდ თანამდებობაზე მიღება უკონკურსოდ არ ხდება! თქვენ თქვენი საკადრო ღირსებები საჯაროდ თუ არა, ჩემი თანდასწრებით მაინც უნდა დაიცვათ! ამას პირად შეურაცხყოფად კი ნუ მიიღებთ, ჩვენ იძულებული ვართ, ასე მოვიქცეთ ბოლო ხანებში ჩვენს უწყებაში დატრიალებული ამბების შემდეგ! როგორც ირკვევა, რევიზორებმა ადრე იგრძნეს გარდაქმნის სიოს დაქროლება, ძირეულად შეცვალეს მუშაობის სტილი. ამას წინათ ერომა საკმაოდ მჭლე შესახედაობის რევიზორმა ჩვენი ბაზებისა და ცენტრალური მომარაგების საწყობის გამგეები ქალაქგარეთ საქეიფოდ გაიტყუა, დაათრო და ყველა საიდუმლო სათითაოდ დააყაჭვინა!..

ანაპოდისტემ ამის გაგონებაზე დაიღმუვლა. მერე ენას ღოჯები დააჭირა და პირჯვარი გადაისახა.

— ბრძანეთ, ბატონო, მე მზად ვარ გამოცდისათვის! — ჩაიბურტყუნა.

— ბაზის დირექტორობას... ჩემი შეხსენება რად გინდათ... სათანადო ბაზისიც სჭირდება...

— მაქვს, ბატონო, ბაზისი! — ანაპოდისტემ ანტიპოდურად ჩაიღიმილა და გატენილ საკვოიაჟზე დაიტყაპუნა ხელი.

— ბაზისიც და ზედნაშენიც!.. — დააზუსტა კადრების განყოფილების უფროსმა და, როგორც ეკადრებოდა, ზუსტად ისე შეხედა ბაზის დირექტორობის კანდიდატს.

— ეგ ზედნაშენი რალაა? — ანაპოდისტეს ენა დაება, მერე კი ანტიპოდური ეჭვებით დაეჭმუჭნა და ხელისგულით დასაუფლებელი გაუხდა სიფათი.

— ეგაა, რაცაა, — ხაზგასმით ჩამომარცვლა უფროსმა, — ეს ვარიანტი თვითონ ტრიფონიჩმა დაამუშავა და, როგორც ტექნიკური სიახლე, ახლა ინერგება ჩვენს გაერთიანებაში. საამისოდ მახლობელი რესტორანი ავიღეთ იჯარით, ის არის ჩვენი მომავალი კადრების გამოსაცდელი პოლიგონი. ბაზისი შეიძლება დიდებული გქონდეს, — კადრების უფროსს არცთუ საკადრისად გაექცა თვალი სავსე საკვოიაჟისაკენ, — მაგრამ ზედნაშენი არ გივარგოდეს, — მოტვლეპილ თავზე დოლის ჩხირებივით აარაკუნა კოტიტა თითები... — შეიძლება სიფხიზლეში დალაგებული კაცი ხარ, მაგრამ ორ ბოთლში უკვე ააფრინო!..

— მე, ბატონო, ისედაც მძიმე კაცი ვარ, დალევისას ერთ ფუთამდე ღვინოს ვითავსებ და, აბა, როგორღა უნდა ავმჩატდე?.. — მიუგო ანაპოდისტემ.

— სასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ გამოცდა მაინც საჭიროა! — კადრების განყოფილების უფროსმა სტუმარი წინ გაატარა და კაბინეტის კარი გაიკეტა.

რესტორანში გრილოდა. სანამ ვრცელ საბანკეტო მაგიდას მიუსხდებოდნენ, გამომცდელმა და დიპლომანტმა ღიპები შეუტოლეს ერთმანეთს.

ფუჟერები არ უკადრიათ, ყანწები, ჯამები და ჯიხვებიც გამოტოვეს და პირდაპირ ბაზის დირექტორების ნომენკლატურული სასმისით — „მარნით“ დაიწყეს სმა, მერე ტაშტებზე გადავიდნენ და ბოლო სადღეგრძელო ვარცლით შესვეს!..

კადრებს საკადრისად ეჭირათ თავი, ანაპოდისტეს სტომაქმაც, ერთგვარი დეფორმაციის მიუხედავად, კარგად გაუძლო ტვირთს, ერთი სიტყვით, სხეულის გაბარიტებითა და კომბინატორული გონებით კვლავაც ანტიპოდურ დონეზე დარჩა.

— კაცი ყოფილხარ!.. — ამოიხვნეშა უფროსმა, — უმაღლეს შეფასებას იმსახურებ!

საუბარმა კადრების უფროსის კაბინეტში გადაინაცვლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანების უფროსმა სელექტორით იკითხა:

— რას შვრება ახალი კადრი, თუ ესმის საქმიანი სუფრის ყადრი?

სწორედ ამ დროს ანაპოდისტემ გაიძვერული ღიმილით გახსნა საკვოიაჟი, წითელი თუმნიანების დასტები ამოალაგა და ამით დამთავრებულად ჩათვალა ვოიაჟი.

— წითელ დიპლომზე ჩააბარა, ტრიფონიჩ! — სელექტორს ჩასძახოდა კადრების უფროსი, მერე წამოდგა და ხელი ჩამოართვა ბაზის დირექტორს.

ანაპოდისტემ ანტიპოდურად დაამთქნარა და შემოთავაზებული სეიფის გასაღები უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანივით დაიბნია პიჯაკის ლაცკანზე.

ელგუჯა მერაბიშვილი

დემოკრატიის მტრები

მაბეზღარა

მისი ცხოვრება
არის ბეზღება,
პირიდან გველი
ამოსრიალებს!..
ქალი ბეზრდება,
კაცი ბეზრდება! —
მხოლოდ და მხოლოდ
ეძებს სიავეს!..
ყურებით კარებს
მიჭყლეტილია,
განგაშის ზარად
სწვდება ყველა ხმა!..
ის მოგვიკლავდა
ნაღდად ილიას,
სადმე ცოცხალი
რომ დაენახა!

შურიანი

ვერრას გამოაპარებ,
აკვირდება ყველაფერს...
ქმარი აქოს ბარბარემ, —
ოქროში ჰყავს ყელამდე!

ელზა რასა შოულობს?
მავრამ რძე რას ადინა?
ამ ცხოვრების შოუა,
მინადორა ნამდვილად!

ყველაფერი ბედია,
ლამის სულ გადარიონ!..
სონას დიაბეტი აქვს,
ისიც შაქრიანიო?!

სკამოსანი

ადრე გვყავდა
ცხენოსანი,
აგელვებდა ულაყს
მინდვრად!..
ახლა კი გვყავს
სკამოსანი,
გვყავს, —
ჩვენ გვინდა
თუ არ გვინდა!
სკამოსანიც დოლში
მდგარა,
დააქროლებს მადის
მერანს,
სიტყვა უჩქეფს
ნიაღვარად,
საქმეს ხელოვნურად
ბერავს!

რევაზ ლორია
(ქ. ლანჩხუთი)

გარდაქმნის მოლოდინში, ანუ ბუზი შემოფრინდა...

იუმორესკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩია ტანის კაცია ანდუყაფარი. სამაგიეროდ სადაც კი გადასვეს, პირველ რიგში უკანასკნელი მოდის მიხედვით მოიწყო უშველებელი კაბინეტი. საქმეც ისე ჰქონდა ანყობილი, თუ თვითონ არ დაუძახებდა თანამშრომელს, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კაბინეტში კაცს არ გააჭაჭანებდა. ბავშვობაში რაღაცა ნიჭი კი შეამჩნიეს. მაგრამ რა!.. წიგნს ერთხელ არ გადაშლიდა თურმე. ამიტომაც გულშემოყრილმა მშობლებმა — „ლუკმაპური მაინც ჭამოსო“ — აიღეს და ეონგლიორობის კურსები დაამთავრებინეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან გამოადგა ანდუყაფარს საეონგლიორო გაწვრთნილობა, როდესაც თანამდებობრივ ორბიტაზე მოექცა.

თუ კაბინეტში მარტო იჯდა, ხან კროსვორდის ამოხსნით ირთობდა თავს, ხან კი (უფრო მაშინ, თუ კაბინეტში ვინმე ჰყავდა) ცხრამეტი ტელეფონი რომ ედგა, ყველაზე ერთდროულად ლაპარაკობდა. რამდენჯერ მინახავს, ორივე ხელის თითებსა და თითებშუა თუ იღლიებშიც კი ტელეფონების ტყე ჰქონდა გაჩრილი. ზოგს მარტო ელაპარაკებოდა და არ უსმენდა, ზოგთან მოეთავებინა საუბარი და სხვა საშუალება რომ აღარ ჰქონდა, დადეშქელიანივით ფეხის თითებით კიდებდა ყურმილებს. აი, სწორედ აქ ვლინდებოდა ანდუყაფარის საცირკო განვრთნილობა, რომელიც საქვეყნოდ განთქმულ კიოსაც კი შეშურდებოდა.

ანდუყაფარის კაბინეტში უფრო ხშირად მისთვის სასურველნი, მისგანვე მაღალ თანამდებობებდარიგებულნი იყრიდნენ თავს. იყო მლიქვნელთა რიარია. ამ დროს ენაგატლეკილი მდივანი ძუკნა მგელივით გაკაპასებული იცავდა „შეფის“ კაბინეტის მისადგომებს. სულ იმის ძახილში იყო — „არ შეხვიდეთ!“, „პრობლემებზე მუშაობს!“, „გარდაქმნის თათბირს ამზადებს!“ და სხვა მისთანანი... ერთხელაც, ეტყობა, მდივანს გაუჭირდა დიდხანს კარებთან დგომა. ბედზე მასთან სალაქლაქოდ შემოსული კოლეგა დაინახა თუ არა, მივარდა. — გოგო, არ დამღუპო, მაგრად ჩადექი კარებში! ერთ წუთს გავიქცევი, იმას მივისაქმ-მოვისაქმებ... და ახლავე გავჩნდები! — თქვა და გაქრა...

— შენ მაინც მოახსენე, აქ ამდენ ხანს რომ ვუცდი. — სახემოღრეჯით შეეკითხა კარის ახალ მცველს მთავარი ბუღალტერი, რომელმაც სასწრაფოდ ხელმოსაწერი საბუღალტრო ქაღალდების დასტა აჩვენა.

— არაა მაგი ჩემი საქმე! მე დღეს ვისვენებ. მალე შემოვა მდივანი და იმას სთხოვე. — ზედაც არ შეუხედავს მთავარი ბუღალტრისათვის, ისე გასცა პასუხი. მკვდარი სიჩუმე დასადგურდა. მდივნის შემცვლელმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ნახევრად ზურგშექცევით ჩამომჯდარმა იწყო ჩამორეკვა. ენადგაკრეფილმა ვერც კი შეამჩნია, კაბინეტში ისე შეეპარა მთავარი ბუღალტერი.

— შეიძლება, ბატონო იჩი-იჩ?

„შეფი“ ამ დროს ტელეფონების ორობტრიალში ხითხითებდა. მის გარშემო განუყრელი მლიქვნელნი მიმოდიოდნენ და „შეფის“ ხითხითზე, თუმცა არ ესმოდათ რაზე იყო ლაპარაკი, მაინც ბუირდებოდნენ.

— რა უნდა ამ ბუზს?! როგორ შემოუსხლტათ ეგ უპატრონო! ფრი მაგას! — მეტიც არ იყო საჭირო. ეცა ყოჩაღი მლიქვნელი ბუზების სახოცს, რომელიც მეორე მაგიდის კუთხეში იდო, და ელასტიკური მოძრაობით სისონა დარჩიას ზურგსუკან გაჩნდა. „შეფი“ კი მრავლისმეტყველად განაგრძობდა: — ვინ გამოგიძახა? ხომ იცი, აქ მხოლოდ მე ვიძახებ თანამშრომლებს! წარმოებაში ხომ კარგად მიდის საქმე? მალე იაპონურ, ამერიკულ, ფრანგულ, გერმანულ, ბანოჯურ ტექნიკას შემოვიტანთ და წელში გავიმართებით! მართალია, „შეფს“ ბანოჯური წასცდა და ენას დროზე დააჭირა კბილი, მაგრამ სისონა დარჩიას მისი არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია... ვიდრე პირის გაღებას მოასწრებდა და იჩი-იჩის (ანუ ზიჩი) თქმიდან საქმეზე გადავიდოდა, თავში ისე მძლავრად მოხვდა ბლაგვი ბუზების სახოცი, შეკივლებაც ვეღარ შეძლო, იქვე სკამს მიესვენა...

— ეე, შეფ, მოვკალი ბუზი, — მიუგო მლიქვნელმა ცალყბით გადახეული ღიმილით. შეფი სავარძლიდან წამოვარდა.

— რა ქენი, შე უღმერთო?! ეფრინა ბუზს, მაგისთვის თავს გავუტეხდი ჩემთვის ყველაზე ერთგულ, ნიჭიერ თანამშრომელს?! — ცალი ყბით ყვიროდა „შეფი“ მთავარი ბუღალტრის გასაგონად...

„შეფი“ სწრაფად მიიჭრა ბუღალტერთან, წამოაყენა, დაამშვიდა:

— ახლა შენ საუბრის თავი არა გაქვს, წადი სახლში, კომპრესი დაიდე. ხვალ დილით მიგიღებ, პირდაპირ შემოსასვლელთან დამხვდი, პირველ სართულზე, — უთხრა „შეფმა“ ბუღალტერს და კარებამდე თითქმის ძალად მიაცილა...

სოლომონ ლაფაური





ნახ. გ. ლომიძისა



უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ექსკურსიაზე ზოოპარკში წაიყვანეს. კენგურუს გალიასთან აღმზრდელი უხსნის მათ:
— ეს ავსტრალიის ბინადარია!
— მართლა? — გაიკვირვა პატარა ფრანცმა, — ახლახანს ჩემი და ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მათგანს.

— **იცით, რომ** ენსენები მძარცველების გამო მთელი ღამის განმავლობაში ვილაში სინათლეს არ აქრობენ?
— საოცარი ხალხია! მძარცველები ხომ მუდამ საკუთარი ფარნებით დადიან!

ნარკოზიდან გამოფხიზლებულ პაციენტს ქირურგი ეუბნება:
— ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა!
— გმადლობთ, ექიმო, მაგრამ საოპერაციოში მე ხომ მხოლოდ იმისათვის შემოვედი, რომ წყალსადენის მილი შემეკეთებინა!...

— **როგორც** ჩანს, ზღვაზე გატარებული შვებულება მოგხდენია, ლოყები მოგისუქდა და შეგივარდისფრდა. გეტყობა, კარგად დაისვენე!
— რომელ დასვენებაზე მელაპარაკები? მე მხოლოდ იმით ვიყავი დაკავებული, რომ ყოველ წუთში რეზინის ლეიბებს ვბერავდი ცოლისა და სიდედრისთვის!..

— **თქვენ** ხედავთ დინოზავრის ჩონჩხს, — **უხსნის ექსკურსიამძღოლი მუზეუმის დამთვალიერებლებს.** — მისი ასაკია ოცდაცამეტი მილიონ ოცდახუთი წელი.
— საოცარია! — **გაიკვირვა ერთ-ერთმა მათგანმა,** — როგორ მოახერხეთ ასე ზუსტად ასაკის დადგენა?
— ძალიან უბრალოდ: როდესაც აქ დავიწყე მუშაობა, პალეონტოლოგმა მითხრა, რომ ეს დინოზავრი ოცდაცამეტი მილიონი წლისაა. მე კი აქ ოცდახუთი წელია ვმუშაობ!

— **რა უნდა** აჩუქო შენს ცოლს თქვენი ქორწინების იუბილეზე?
— ჭილის ქუდი.
— ნუთუ ვერაფერი მოიფიქრე უფრო ორიგინალური?
— რა უნდა იყოს ამაზე მეტად ორიგინალური? ეს ქუდი ხომ ბებიაჩემის ნაქონია!

ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:
— რაში იხსნება ცხიმი?
— ქვაბში. — **უპასუხებს მოსწავლე.**

— **არ დაგავიწყდეს** — **ეუბნება მომაკვდავი ქმარი ცოლს,** — რომ ჩვენს მეზობელს პატრიკს 50 ფუნტი აქვს მოსაცემი!..
— არ დამავიწყდება!
— და არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენც მაკორმიკზისთვის 3 ფუნტი გვაქვს გადასახდელი!
— ღმერთო ჩემო! — **ამოიოხრა ცოლმა,** — ისევ ბოდავს!..

უნივერმაღის დირექტორი თავის მოადგილეს ეკითხება:
— ბილ, ჩვენ ხომ გამოვაკარით განცხადება იმის შესახებ, რომ ვეძებთ ღამის დარაჯს! როგორია შედეგი?
— გუშინ ისევ გაგვქურდეს!

— **მე** მგონია, საკითხის უკეთ გადაწყვეტისათვის უნდა დაუბრუნდეთ ცოლს!
— მესმის, ბატონო ადვოკატო, მაგრამ იქნებ უარესი გადაწყვეტილება მოგვეძებნა?

—**საღამოობით** სად ატარებთ დროს?
— სახლში, ცოლთან.
— აი, სიყვარულიც ამას ჰქვია!
— ეშმაკსაც წაუღია, საშინელებაა! მას შემდეგ რადიკულიტი უფრო გამირთულდა!

— **დილით,** როდესაც მაღვიძარას ხმა მესმის, ასე მგონია, რომ მესვრიან.
— ალბათ საწოლიდან მაშინვე წამოხტები ხოლმე! ასე არ არის?
— არა, შენ წარმოიდგინე! ვწევარ, როგორც მომაკვდავი!

ხანდაზმულმა ქალმა ტელევიზორი შეიძინა. პირველ დღეს მან ფეხბურთს უყურა, ხოლო მეორე დღეს რეგბის უჩვენებდნენ.
ქალმა ისევ მიაკითხა მაღაზიას:
— თქვენ მე დაწუნებული ტელევიზორი მომყიდეთ! — შესჩივლა გამყიდველს, — გუშინ ბურთი მრგვალი იყო, დღეს კი ოვალურია.

— **თითქმის** საათ-ნახევარია, რაც ამ კვერცხებს ვხარშავ, მაგრამ მაინც მაგარია, — **ეუბნება ახლადშექმნილი ოჯახის დიასახლისი ქმარს.**
— დასაჯერებელია. ეს კვერცხი საკმაოდ ბებერმა ქათამმა დადო! — **დაამშვიდა ქმარმა.**

პატარა ბრიგიტი ტელეფონების აბონენტთა წიგნს ფურცლავდა. ერთ-ერთ გვერდზე შეაჩერა ყურადღება და წაიკითხა: სერენსენ, სერენსენ, სერენსენ...
— აი, სულელი, რად უნდა ამდენი ტელეფონი?

მაღაზიაში შესული ახალგაზრდა ვაჟი გამყიდველს ეკითხება:
— გაქვთ თუ არა წიგნი „როგორ შეიძლება გახდე 14 დღეში მილიონერი?"
ინებეთ, მხოლოდ წიგნთან ერთად აუცილებელია შეიძინოთ სისხლის სამართლის კოდექსი!

დამწყები მომღერალი ენრიკო კარუზო ერთ პატარა ქალაქში სცენაზე გამოვიდა. როდესაც სიმღერა დაამთავრა, ვიღაცამ მისკენ თავი კომბოსტო ისროლა.
— ო! — **წამოიძახა მომღერალმა,** — ვიღაცამ ჩემი სიმღერის გამო თავიც კი დაკარგა!

თარგმნა **მანანა ჩოქოშვილმა**

№ 129
9.III 1989

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი"
№ 4 (1782). თებერვალი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჰაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 27. 01 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 02. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 211 უე 04631 ტირაჟი 129.000

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

7-89
89-129
ეროვნული ბიბლიოთეკა